ხობის მოამბე

№4 (7129) 31 მარტი,
ოთხშაბათი, 2021 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უმაღლესი ფასეულობაა სამართლის ყოველდღიურობის საფარველისა. საცა უნდა დათვლა, ეგი ყველგან ჩანთხზე... ყოველი სანდამჭრელი, თვალის ფრსწედ ცოდვათ თუ ბოროტად დამეძებული, ნაწილი-ნაწილობად ანის ნაყოფიერი, თორმ მოვდა და ამაღლებაზე აღმოფენილი იყოს.“

დღეს ზვიად გამსახურდიას 82 წლის გახდებოდა...

საქართველოს ეროვნული გმირი

ეროვნული მნიშვნელობის დღე 31 მარტი ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენითაა გამორჩეული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში: 30 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა საქართველოს დამოუკიდებლობას.

1939 წლის 31 მარტს, მართალ ლაზარეს აღდგინების წინა დღეს, დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, დისიდენტი, უფლებადამცველი, მეცნიერი, მწერალი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ქრისტეს ერთგული მხედარი ზვიად გამსახურდია.

ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თავგანწირულმა ბრძოლამ გულანთებულ მამულიშვილებთან ერთად მოუმზადა ნიადაგი რეფერენდუმს.

1990 წელს, როცა ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. საბჭოთა იმპერია რღვევის საშიშროებას გრძნობდა და ამიტომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიმუშავა. სსრკ ახალ, დემოკრატიულ, ფედერაციულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო, რომელშიც „ნებაყოფლობით“ გაერთიანდებოდნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები პრინციპით „ძლიერი ცენტრი, ძლიერი რესპუბლიკები“.

2 გვ.

თვალმზიანი მართალი კაცი...

როცა ეროვნული, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი დღესასწაულები მოდგებიან, მათი აღნიშვნა და ზეიმი უნდა იმართებოდეს იმ გმირი ადამიანების უკვდავყოფით, რომლებმაც უფლისგან ბოძებული ყველაზე ფასეული–სიცოცხლე დასთმეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ამის მაგალითად გავიხსენოთ, ისტორიულ გმირებთან ერთად, ჩვენი თანამედროვენი: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია, თენგიზ ქაჯაია და ყველა ის ადამიანი, საკუთარი სისხლის ფასად რომ გვარგუნეს დღევანდელობა, დამოუკიდებლობითა და თვითმყოფადობით გამორჩეული. მარადიული ხსოვნა მათ სახელებს.

ჩვენ, ხობელები გამორჩეულად ამაყნი ვართ ამ კუთხითაც, რადგანაც ხობი გახლავთ მშობლიური კერა სამშობლოს ზვარაკად შეწირული ახალგაზრდა კაცისა–თენგიზ (თენგო) ქაჯაიასი.

ეს სახელი და გვარი რაც თავი მახსოვს მუდმივად ჩამესმოდა ჩემს ოჯახში, სამეგობრო წრეში და ყველგან, სადაც სამშობლოსა და პატრიოტიზმზე სიტყვა ჩამოვარდებოდა. მისით ამაყობდნენ და ამაყობენ, მას ბაძავდნენ და ბაძავენ, ის უყვარდათ და დღესაც გაუნელებლად უყვართ. ტკივილიანი სიყვარულით, სინანულით, რადგანაც ძალიან ახალგაზრდა განეშორა წუთისოფელს და სამშობლოსთვის ნასროლი ტყვია თავად იგემა.

უშვილძიროდ გადაეგო, სიყვარულის გახარებას ვერ მოესწრო, მაგრამ მოესწრო ყველაზე დიდ რამეს- საქართველოს თავისუფლებას, რომლის ერთ- ერთი გულმხურვალე შემოქმედიც თავად გახლდათ.

3 გვ.

9 აპრილი-გამარჯვება ტრაგედიით...

რაც დრო გადის, ანუ რაც მეტად შევდივარ ასაკში, მით უფრო ვრწმუნდები, რომ უფალმა უაღრესად დიდი პატივი დაგვდო (არ დავესესხები აღმოსავლელ ბრძენს და არ ვიტყვი–დავისაჯეთ-თქო), რომ ასეთ საინტერესო და მასთან, რთულ პერიოდში მოგვიხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ეპოქათა და წყობათა შეჯახების არათუ მოწმენი, უშუალო მონაწილენი ვიყავით და გმირობა, როგორც ასეთი, თანმდევი მოვლენა გახლდათ ჩვენი ეპოქალური ტკივილებით სავსე ყოფისა.

რამდენი ცრემლი და რამდენი სისხლი... რამდენი სიხარული და ტკივილნაგრძნობი ბედნიერებანი... დაუმთავრებელი ვაი-ვიშის შემყურესა და შემგრძნობს, ვინძლო წამიერად გაგვევლო გულში უპრობლემო და უსისხლო, უტრაგედიო და ჩუმი, მშვიდობიანი ცხოვრების უკეთესობა, მაგრამ ღმერთმა „მიყურთბალიშებას“, ბრძოლათა ქარცეცხლში ყოფნა გვიმჯობინა და გავხდით ნებსითი თუ უნებლიე მონაწილენი საკაცობრიო მნიშვნელობის პერიპეტიებისა.

დიახ, საკაცობრიოსი, რამეთუ გლობალური ქარტეხილების გზაგასაყარზე მდებარეობა გვაყენებდა ისეთი რეალობის წინაშე, როცა ვერსად, ვერასდროს გაიქცევი და რომ იტყვიან- პლანეტარულ მზერას ვერ დაემალები!..

2 გვ.

ვაქცინაცია— ჯანმრთელობის გარანტი

„გამოსავალს დღევანდელი პანდემიის შეჩერებისა და დაძლევის კუთხით, ვხედავთ ჩვენი სახელმწიფოს, სამედიცინო პერსონალისა და საზოგადოების კოორდინირებულ მუშაობაში.

COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ინფექციისაგან დაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალებაა!

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებები და კვალიფიციური ექიმები რეკომენდაციას უწევენ COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას!

აცრა ნებაყოფლობითია.

6 გვ.

საქართველოს ეროვნული გმირი

1 გვ.

საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე უარი განაცხადა, უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმი აკრძალა და 31 მარტს რეფერენდუმის ჩატარების დადგენილება მიიღო. საერთო-სახალხო გამოკითხვის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.“ კითხვას დადებითად უპასუხა კენჭისყრაში მონაწილეთა 99%-ზე მეტმა ადამიანმა.

საქართველოს მოსახლეობამ მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადა, რომ სურდათ ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქეები. საქართველოს უზენაესმა საბჭომ რეფერენდუმზე გამოხატული მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდან განაცხადა:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გფარავდეთ ღმერთი!“

ამ დიდ ისტორიულ გამარჯვებამდე მისასვლელი გზა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. თავისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო 1956 წელს, როცა ზვიად გამსახურდიამ მერაბ კოსტავასთან ერთად დაარსა არალეგალური, პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლანი“. 1973 წელს მათ შექმნეს კავკასიაში პირველი „ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი“, რომლის ბაზაზე 1976 წელს შეიქმნა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, რომელიც აქტიურად იცავდა საბჭოთა იმპერიაში პოლიტპატიმრების უფლებებს.

1977 წელს ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. 1978 წელს აშშ კონგრესმა ისინი ნობელის პრემიაზე წარადგინა. საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა.

ზვიადი და მერაბი ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ კვლავ დააპატიმრეს.

1990 წლის 28 ოქტომბერს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ჩატარდა სსრკ-ში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საარჩევნო ბლოკს „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“.

1990 წლის ნოემბერში უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ზვიად გამსახურდია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს, 1991 წლის 26 მაისს კი საქართველოს მოსახლეობამ იგი ქვეყნის პირველ პრეზიდენტად აირჩია. 1992 წლის იანვარში რევანშიზმის, შურის, გაუტანლობის გრძნობით აღვსილმა ანტიეროვნულმა ძალებმა რუსული ჯარების დახმარებით პრეზიდენტი სამშობლოდან განდევნეს. იგი თანამებრძოლმა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა საფრთხეს განარიდა. ზვიად გამსახურდია გროზნოდანაც აქტიურად იბრძოდა ხელისუფლებაში მოსული სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ. როდესაც 1993 წელს აფხაზეთის დაკარგვის საფრთხე შეიქმნა, პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნდა.

ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში, სამწუხაროდ, იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე დაუკავშირდა ზვიად გამსახურდიას სახელი ჩვენს რაიონს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული მოძრაობის ხობელმა წარმომადგენლებმაც ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

ხობში ეროვნული მოძრაობის საინიციატივო ჯგუფი 1989 წლის 10 მაისს შეიქმნა. იმ დღიდან დაწყებული, ხობის „ეროვნულები“ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში ვმონაწილეობდით. განსაკუთრებით მძიმე იყო სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულ სამხედრო ხუნტასთან დაპირისპირება, რაც ბევრ ჩვენს თანამებრძოლს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

სამშობლოსთვის ბრძოლას პირველი ხობის პრეფექტი თენგიზ ქაჯაია შეეწირა. გვჯერა, მათ სახელებს დავიწყება არ უწერია. ხობელმა „ეროვნულებმა“ ბოლომდე უერთგულეს წამებულ პრეზიდენტს. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ძველ ხიბულაში პრეზიდენტის ხსოვნისადმი მიძღვნილი სახლ-მუზეუმის დაარსებისა და მართალი ლაზარეს სახელობის ეკლესიის მშენებლობის ინიცირებაში. ამ უდიდესი ეროვნული საქმის განხორციელებისთვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს ხობელებისგან განსაკუთრებული მადლობა!

რამაზ სოხაძე

1 გვ.

9 აპრილი– გამარჯვება ტრაგედიით...

პირველი, რომელიც საკუთარი იდენტობისა და სახელმწიფოებრივი განსაზღვრულების აუცილებლობისთვის გვჭირდებოდა დამოუკიდებლობა გახლდათ. იმ ურჩხულის კლანჭებიდან დახსნა, რომელიც 70 წლის მანძილზე გამალებით ებრძოდა ქართულ სახელმწიფოებრიობას–ტრადიციისა და ენის დაკნინებიდან დაწყებული, საუკეთესო მამულიშვილების განადგურებით დამთავრებული ყველაფერს აკეთებდა ეროვნული სულისკვეთების ჩასაკლავად. ეს გახლდათ ომი გველეშაპთან და პატარა საქართველოსთვის თუ რას ნიშნავდა ეს, ადვილი მისახვედრი უნდა იყოს ყველასთვის.

ჩვენს ქვეყანას არასდროს კლებია თავდადებული შვილები და ამ ურთულეს პერიოდშიც გამოჩდნენ სიკვდილს შეგებებული ქართველები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით. სწორედ ამ სწორუპოვარი გმირკაცების დამსახურება გახლდათ ხალხის შემზადება „ახალი დიდგორისთვის“, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებით თითოეული მოქალაქის განწყობის აღტკინება საცხრააპრილოდ!

დიახ, ქართული გენი და მოდგმა დაუპირისპირდა „დერჟავას“ და წაგვარა ის, რაც მას ეკუთვნოდა, რომელიც მას საუკუნეებით სისხლადშობილი გადმოეცა სამემკვიდრეოდ. აჩეხეს, ტანკებითა და საწამლავი გაზებით დაუპირისპირდნენ, მაგრამ უფლისგან ბოძებული რწმენა ვერ წაგვარეს ივერიას! რუსეთის იმპერიამ უკან დაიხია!

ქართველების ერთად დგომამ და უშურველობამ გაიმარჯვა!.. 1989 წლის 9 აპრილმა გაჭრა ხვრელი ახალი საქართველოსკენ, დიდი ბრძოლებითა და დაუსრულებელი იმედებით აღვსილი საქართველოსკენ!..

„ვეხისტყაოსნებმა“ სძლიეს ტანკებსა და ნიჩბებს, საწამლავებსა და სინდიყებს... ჩვენ გავიმარჯვეთ! ამის შემდგომ: 1990 წელის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და ხელისუფლება გადავიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ ხელში.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3 %-მა, რომელთაგან 99 %-მა კითხვას დადებითად უპასუხა. მათ შორის აფხაზებმა და ოსებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა, ქურთებმა და ებრაელებმა, უკრაინელებმა და რუსებმა... ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულიქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე (საქართველოს ისტორიაში უფრო დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს ძნელად თუ დაასახელებ).

ეს გახლდათ ეროვნული გენიის აბობოქრება, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიით, უდიდეს ლოგიკურ დასასრულამდე–გამარჯვებამდე მივიდა. და ეს გააკეთეს თავდადებულმა მამულიშვილებმა, ზვიადისა და მერაბის ხელმძღვანელობით, რომელთაც სიკვდილი არად უჩნდათ, ოღონდაც სამშობლოს, ეროვნულ მისიას წადგომოდნენ. აინშტაინი ამბობს, მომავალ საუკუნეებში არ დაიჯერებენ ალბათ, დედამიწაზე ასეთი ადამიანები რომ დადიოდნენ... მათ შორის თქვენისთანები და ჩვენისთანები!..

ლაშა გვასალია, მწერალი.

თვალმზიანი მართალი კაცი...

1გვ.

მახსოვს, ერთხელ ჩვენმა უსაყვარლესმა, ასევე ეროვნულმა ნანი სალაყაიამ, ნათელი მის ხსოვნას, რაღაცნაირი სიამაყით თქვა, თენგოს მზე ედგა თვალებში, მის მერე მზისთვალება ბიჭი არც მინახავსო.

დიახ, თენგო გამორჩეული, უფლისგან სიკეთით დაღდასმული ახალგაზრდა გახლდათ, რომელმაც მიუხედავად მცირე, ანუ როგორც ქართლში იტყვიან, ბოლომდე გაუმართავი ასაკისა, ბევრი მოასწრო.

საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომისტის სპეციალობით.

მუშაობდა პროფესიით სხვადასხვა ხელმძღვანელ და პასუხსაგებ თანამდებობაზე. პარალელურად აქტიურად გახლდათ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ბრძანდებოდა არაერთი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, მით უფრო, ახალგაზრდული პროექტის სულისჩამდგმელი, დამფინანსებელი და ორგანიზატორი.

ის ლიდერი იყო, ამას ხმამაღლა, დაუფარავად აცხადებენ მისი თანამებრძოლები და მეგობრები... სწორედ ამ ნიჭმა და პატრიოტულმა სულისკვეთებამ დააკავშირა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, და მთელი არსებით ჩაება ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. საქართველოს პირველი პრეზიდენტს ის შვილად ჰყავდა მიჩნეული. რადგან დარწმუნებული იყო რა მის ნიჭიერებასა და შესაძლებლობებში, სრულიად ახალგაზრდა კაცი დანიშნა ხობის რაიონის პრეფექტად (ქვეყნის მასშტაბით ის გახლდათ პირველი პრეფექტი).

აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას მისი კეთილსახსოვარი მშობლების ღვაწლს, რომლებმაც სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი გოგო აღზარდეს გამორჩეულ მამულიშვილებად. განსაკუთრებით აღსანიშნავია დედის–ქალბატონ მარგო ჩოკორაიას როლი შვილების ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში. ჩვენი ოჯახების სიახლოვიდან და ნათესაური კავშირიდან გამომდინარე, მქონდა ბედნიერება, მიუხედავად მცირე ასაკისა, ახლოს ვცნობოდი ამ დიდებულ ქალბატონს, კლდემამოსილ, ბრძენ და კეთილად მოსაუბრე დიდ ადამიანს, მასთან ურთიერთობა და საუბარი დიდი ჯილდო გახლდათ ნებისმიერი ასაკისა თუ პროფესიის ადამიანისთვის.

მომისმენია ჩემი ძმისა და მარგო დეიდას საუბარი თენგოზე, თუ როგორი ბეჯითი, ყოველმხრივ გამორჩეული ყმაწვილი, მისაბაძი სტუდენტი და ახალგაზრდა იყო მისი ვაჟი.

სამივე შვილს ერთნაირად ვუყვარდი, ერთნაირად მეფერებოდნენ, მაგრამ თენგო სხვა იყოო მაინც. მისი დაძახებული: „დედა, სორექ?“ გალობასავით ჩამესმისო ყოველ წამსა და წუთს. მე აქ ხორციელად ვარ, თორემ სულითა და მთელი არსებით, ჩემს ბიჭთან ვარ რამდენი ხანიაო!

თენგოს მოულოდნელ გარდაცვალებას გადაყვნენ მისი მშობლები, მოგვიანებით კი ძმასთან წავიდა უსაყვარლესი დაიკო დარეჯანი. თენგოსა და გოგის (გოჩას) ნებიერა დაჯი. ის ჩემი მეზობელი გახლდათ, ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებული ურთიერთობა და სიყვარული გვაკავშირებდა. იშვიათად მინახავს მასავით განათლებული, ერთგული და წრფელი ადამიანი, მასავით პატრიოტი და უშურველი დედა, მეუღლე და მეგობარი.

ყველანაირად ლამაზსა და გამორჩეულს, სხვათაგან ღვთაებრივი უბრალოებაც გამოარჩევდა, ვერ გადაიტანა თენგოს სიკვდილი, დატოვა ორი ულამაზესი და უნიჭიერესი ქალიშვილი, მეუღლე და წავიდა...

ცოტა ხნის წინ თენგიზის უმცროსი ძმა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა (გოგი) ქაჯაია შეიქმნა ავად და როცა მორიდებით ვკითხე ჯანმრთელობაზე, თენგომ გადაგვიყოლაო ყველა,–მომიგო გატეხილი ხმითა და ცრემლიანი თვალებით. მაგრამ უფალმა დაიფარა ეს მთასავით კაცი და აჩუქა თავის ოჯახსა და ქვეყანას, და ჩვეული გულისხმიერებით აგრძელებს ხალხისგან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

სახელოვნად გრძელდება ქაჯაიების დიდი ოჯახი, მარგო დეიდა მოესწრო, როგორც თავად ბრძანებდა, უმთავრეს ბედნიერებას და იხილა განსხეულებული, ქვეყნიერებას მეორედ მოვლინებული თენგიზ (თეგა) ქაჯაია. ლამაზი, ჭკვიანი და წარმატებული ახალგაზრდა, საჯიშე ქართველი. ასეთივე საქებარი და აღმატებული სიტყვები ითქმის მის დაიკოზე, ანუ ბატონი თენგიზის ძმისშვილზე, განათლებულ, წესიერ და ყოველმხრივ გამორჩეულ ქალიშვილ–მარი ქაჯაიაზე.

თენგოს მზე ედგა თვალებში, მზეჭაბუკი იყო და მარადიულ სამზეოში გადავანდა.

პირველყოვლისა, მას მინდა მივულოცო 9 აპრილი, დღეთავდადებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. ჩვენი გმირების უკვდავყოფით არ მოგვშლოდეს რწმენა და იმედი რაინდული, დიდი საქართველოსი!

დიახ, მზე ედგა თენგოს თვალებშიო!

ნანა გვასალია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადასაადგილებელი ეტლები გადაეცათ. საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარემ მაია კვეზერელმა და ბუღალტერმა ნონა სოსანაშვილმა საჩუქარი 14 მოქალაქეს გადასცეს, ხოლო საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი “აფხაზეთის“ წარმომადგენელმა 5 სოციალურად დაუცველ ეტლით მოსარგებლეს სურსათის კალათა გადასცა.

ეტლების გადაცემის პროცესს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, სამეგრელო-ზემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 28 წელზე მეტია არსებობს და აერთიანებს სახელოვან, ღვაწლმოსილ ქალბატონებს, მრავალ პროექტს ახორციელებს სამშვიდობო, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, მათ შორისაა შშმ პირთათვის დახმარების აღმოჩენა.

2020 წელს საერთაშორისო ასოციაციამ ეტლები ხობის მუნიციპალიტეტში 7 მოქალაქეს გადასცა.

ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით “მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის” რეფორმაში მონაწილე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის ონლაინ შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის“ რეფორმა გულისხმობს ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერებას, ადამიანური რესურსის გადამზადებას, ახალგაზრდული საჭიროებების შესწავლასა და მასზე დაფუძნებით სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შექმნას.

„ახალგაზრდობის სააგენტო“ საქართველოს რეგიონებში აქტიურად მუშაობს მუნიციპალური ახალგაზრდობის მართა.

„ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით.

სამ წლიანი რეფორმის ფარგლებში, სააგენტო ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების“ ქვეპროგრამას, რომელიც ბენეფიციარ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი სპეციალისტების ახალგაზრდობის კოორდინატორებად გადამზადებას და ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნა/რევიზიას ითვალისწინებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასუფთავების აქცია გაიმართა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ და მერიის თანამშრომლებმა წინასწარ შერჩეული ადგილები დაასუფთავეს.

დასუფთავების აქცია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში პერიოდულად გაიმართება.

ნარჩენების გატანას შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს.

აქცია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ტარდება.

წარმატებული ხობელები

„ხობის მოამბემ“ გადაწყვიტა გაზეთის ფურცლებიდან წარმოაჩინოს და საზოგადოებას გააცნოს ჩვენი თანამემამულეები. ისინი, რომლებმაც თავიანთი სწავლითა და შრომით თავი გამოიჩინეს და მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერეს მეცნიერების განვითარების სხვადასხვა დარგში.

ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, რადგანაც სასურველია, გავიცნოთ და ხობელებს გავაცნოთ მისი წარჩინებული შვილები, რაშიც მნიშვნელოვანად დაგვეხმარა ბატონ **ლევან ღვინჯილიას** *ბლოგი–„წარმატებული ხობელები“, სადაც მათზე ინფრმაციები მოვიძიეთ.*

მადლობა ბატონ ლევანს ბლოგის შექმნისთვის.

გზა აკადემიურ დოქტორობამდე

წარმატებულ მეცნიერ და მოაზროვნე ადამიანთა რიგებს სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანები ავსებენ. ამჯერად ახალხიბულელ მურთაზ კვირკვაიაზე მოგიყვებით...

მურთაზ კვირკვაია დაიბადა 1973 წლის 17 მარტს, ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში–ოთარ კვირკვაიას და მერი ვეკუას შრომისმოყვარე ოჯახში. ოთხ და ძმას შორის ის ყველაზე უმცროსია. ბატონმა ოთარმა და ქალბატონმა მერიმ იზრუნეს საიმისოდ, რომ ყველა შვილს უმაღლესი განათლება მიეღო.

მურთაზი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ტექნიკური საგნების მიმართ. მისი მათემატიკური საგნების სიყვარული, როგორც გავიგე, მისთვის საყვარელი პედაგოგის, მიშა ბასილაიას დამსახურება გახლავთ. მურთაზი ძალიან მადლიერია როგორც მისი სკოლის პედაგოგების, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლების. მიაჩნია, რომ თუ შედეგზე და მიღწევაზე შეიძლება დღეს საუბარი მათი უდავო დამსახურებაა.

ახლი ხიბულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მურთაზი სწავლის გასაგრძელებლად თბილისს გაემგზავრა და გადაწყვიტა ესწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. ჩაირიცხა ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1996 წელს დაამთავრა.

ამჯერად მინდა ვისაუბრო მასზე, როგორც აკადემიურ დოქტორზე. თუ როგორ გაიარა მან გზა ახალი ხიბულიდან თბილისში, იქიდან გერმანიაში, ამერიკაში, შვედეთში, ისრაელში, პორტუგალიაში...

მონაწილეობდა სხვადასხვა ტრეინინგებსა და სასწავლო კურსებში, ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში. 2004 წელს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის დაფინანსებით გაიარა სპეციალური მომზადების პროგრამა გერმანიაში, კიოლნში მომავალ ლიდერთა მომზადების აკადემიაში.

2009 წელს USAID-ის პროგრამის ფარგლებში გაიარა სასწავლო ტური ამერიკის შეერთებულ შტატებში ვისკონსინის უნივერსიტეტში. 2010 წელს მონაწილეობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (ამერიკული საბჭოები JFDP) ლექტორთა გაცვლის პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს პროგრამის წარმატებით დასრულების სერთიფიკატები კანზასის, ნებრასკის უნივერსიტეტიდან და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან.

ნებრასკის უნივერსიტეტში დამატებით გაიარა სპეციალური მომზადების კურსები სწავლების დიზაინის თეორიაში და სწავლების მენჯემენტის სისტემაში. ამავე დროს პერიოდულად მონაწილეობა მიიღო პროგრამის მიერ ორგანიზებულ ვირტუალურ კონფერენციაში და სამაგალითო მონაწილის სერთიფიკატი დაიმსახურა. აგრეთვე მონაწილეობდა ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაში უმაღლესი განათლების სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროგრამის დასრულების შემდეგ დაგროვილი გამოცდილების საქართველოში გავრცელების მიზნით, ამავე პროგრამიდან მიიღო დაფინანსება.

2013-2014 წლებში მონაწილეობდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ ორგანიზებულ პროგრამაში საქართველოში და შვედეთში (სტოკჰოლმში). ასევე მონაწილეობდა ისრაელის მთავრობის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროგრამაში ისრაელში (MASHAV-ის პროგრამა), რეგიონული განვითარების შესახებ. 2016 წელს მონაწილეობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტრატეგიის და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტიის აფილირებული წევრებისთვის ორგანიზებულ ღონისძიებაში კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის საკითხებზე. 2016 და 2018 წლებში მონაწილეობდი ევროკავშირის MOBILE + პროგრამაში (პორტუგალია-პორტოს უნივერსიტეტი; პოლონეთი-ლაზარსკის უნივერიტეტი).

სხვადასხვა წლებში ბატონი მურთაზ კვირკვაია მუშაობდა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, თანამშრომლობდა კავკასიის აკადემიურ ცენტრთან (CAC), იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, წლები იყო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, შემდეგ ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი. გარკვეული პერიოდი მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამაში კონსულტანტის პოზიციაზე. ასევე თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 2020 წლიდან მუშაობს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

სხვადასხვა წლებში იყო USAID-ის, აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტიის (EWMI), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (კურსდამთავრებულთა გრანტი) მიერ დაფინანსებული გრანტების ხელმძღვანელი, კოორდინატორი, ლიდერი. კითხულობს ლექციებს საგნებში: ეკონომიკის პრინციპები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი...

მურთაზ კვირკვაიას კვლევის სფეროს წარმოადგენს სოციალური პოლიტიკა, შრომის ბაზარი, ადამიანური რესურსების ეკონომიკა და მენეჯმენტი. მას რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის რამოდენიმე საერთაშორისო რეფერირებად ინგლისურენოვან ჟურნალებში. არის სალექციო კურსების ავტორი და დამხმარე სახელმძღვანელობის თანაავტორი.

აი, ასეთი გზა გაიარა ბატონმა მურთაზ კვირკვაიამ სამეცნიერო მოღვაწეობაში.

მომავალ გამარჯვებებს გისურვებთ ჩვენო ღირსეულო თანამემამულევ!

ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საქტო დარბაზში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკური“ ახორციელებს გარემოსდაცვითი თემატიკის პროექტს „ხობის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება და პოზიტიური პრაქტიკის პოპულარიზაცია“.

შეხვედრაზე ფასილიტატორებმა გვანცა კიკალეიშვილმა, ანი ბუკიამ და მოწვეულმა ექსპერტმა მარინა ბენდელიანმა აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილეები და მერიის სამსახურის უფროსები ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ ფაზაშია, საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის სახლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 130 000 ლარამდეა, შპს „მშენებელი 2017“ ახორციელებს.

კულტურის სახლის სარეაბილიტა-

ციო სამუშაოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა გაეცნო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

კულტურის სახლის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები და შემოქმედებითი წრეების მუშაობა კეთილმოწყობილ გარემოში წარიმართება.

წარმატებული ხობელები

„ჩვენი არჩევანი დემოკრატიული ცხოვრების წესია, მისი უმთავრესი წინაპირობა კი სწორედ განათლების და მეცნიერების განვითარებაა“

დიდი შრომის საფასური

წარმატებულ მეცნიერთა და მკვლევართა რიგებს ბევრი ხობელი ადამიანი ამშვენებს. ერთ-ერთი მათგანი საჯიჯაოელი გოგონა თამარ (თამუნა) ქარაია გახლავთ.

თამარი 1986 წელს დაიბადა. მან პირველი დაწყებითი განათლება ჯაპიშაქრის სკოლაში მიიღო, შემდეგ საშუალო სკოლა საჯიჯაოში დაამთავრა.

მშობლებს პედაგოგ ამირანს და მის მეუღლე ქალბატონ ლიანა კუტალიას დიდი სურვილი ჰქონდათ თავიანთ ერთადერთ შვილს კარგი განათლება მიეღო, წარმატებისთვის მიეღწია. ამის საფუძველს მისი სწავლის დიდი სურვილი და წიგნიერება იძლეოდა..

2003 წ. თამარმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში პოლიტიკური მეცნიერების დაუფლება გადაწყვიტა, რომელიც 2007 წელს დაამთავრა, პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობდა და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი გახდა.

2007-2009 წლებში თამარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას.

2009-2016 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა უფლებათა პოლიტიკის მეცნიერებაში, წარმატებით დასძლია და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიიღო. 2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტი პროფესორია. 2009 წლიდან ასევე თამარი მუშაობს ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში მკვლევარ მეცნიერად.

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისადმი გაჩენილმა ინტერესმა თავის დროზე განაპირობა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის თამარ ქარაიას არჩევანი–ჩაებარებინა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თვლის, რომ ეს მის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან მას მეცნიერების ეს დარგი საზოგადოებაში არსებული კომპლექსური საკითხების დანახვისა და გააზრების საშუალებას აძლევს.

„ყოველთვის, როდესაც ლიტერატურას ვკითხულობდი, ვცდილობდი გმირებთან ერთად გარემო გამეცნო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, გამეაზრებინა კონტექსტი, რომელიც მათ გადაწყვეტილებებს განაპირობებდა. როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი, ბევრისთვის უცნობი სპეციალობა - პოლიტიკის მეცნიერება ავირჩიე. ჩემი თვალსაზრისით, პოლიტიკის მეცნიერება გაძლევს საშუალებას იპოვო ის გზა, რომელიც შენს ცხოვრებას უფრო მეტად საინტერესოს და შინაარსიანს გახდის,–გვესაუბრება თამარი.

თამარ ქარაია უნივერსიტეტში თერთმეტი წელია, რაც ასწავლის. იხსენებს პირველ ნაბიჯებს და აცხადებს, რომ უნივერსიტეტში მისი დარჩენა დიდწილად იმ სტუდენტებმა განაპირობეს, რომელთაც სწავლების პირველ წელს მხარი დაუჭირეს ახალბედა პედაგოგს. მას შემდეგ მისი ყოველდღიურობის განსაკუთრებულ ნაწილს უნივერსიტეტი და სტუდენტები წარმოადგენენ.

„სულ ვამბობ, რომ ჩემს ცხოვრებაში უნივერსიტეტს და სტუდენტებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. მაგალითად, ამ სემესტრში ოთხ ჯგუფს ვასწავლი სოციალური კვლევის მეთოდებს. ოთხივე ჯგუფთან სამუშაო ერთმანეთის მსგავსია, ამავე დროს უნიკალური. სტუდენტები იძლევიან ამის მიღწევის შესაძლებლობას. მათ საკითხების შეფასების თავისებური მიდგომა და განსხვავებული ხედვები აქვთ, რაც სასწავლო პროცესს საინტერესოს და დინამიურს ხდის“.

მისი, როგორც მეცნიერის კვლევის საგანი მეხსიერების პოლიტიკაა. აინტერესებს ის, თუ როგორ იხმობს ხელისუფლება წარსულიდან ფაქტებს კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებისთვის, იდენტობის ფორმირებისთვის. თამარ ქარაიას საბაკალავრო, სამაგისტრო და შემდგომში სადოქტორო ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს უკავშირდებოდა.

თამარ ქარაია ასევე აქტიურად იკვლევს საკითხს, რომელიც სოციალურ მოძრაობებს უკავშირდება. ამჟამად, კოლეგებთან ერთად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური გრანტის ფარგლებში საქართველოს უახლეს გამოცდილებას სწავლობს. მისი თქმით, ამ მოძრაობების კვლევა საზოგადოების თვითორგანიზების პოტენციალის შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. რამდენადაც ეს მოძრაობები მოიცავს კომპლექსურ ურთიერთობებს, რომელშიც მოქალაქეები, დაინტერესებული ჯგუფები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები არიან ჩართული და მათი შესწავლით ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ და შევაფასოთ საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს.

„ამ ყველაფრის შეფასების პროცესში ვხედავთ, თუ როგორ და რამდენად აფასებს სახელმწიფო თავის მოქალაქეს, უსმენს თუ არა მას, და მოქმედებს თუ არა ამ ინტერესების შესაბამისად. სოციალური მოძრაობების შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ პროტესტის კვლევას, იგი გულისხმობს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების შესწავლას.“

საუნივერსიტეტო ცხოვრების პარალელურად თამარ ქარაია ჩართულია საქართველოში სამოქალაქო განათლების დამკვიდრების პროცესში, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების დონეზე. ის არის სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს და გზამკვლევების თანაავტორი. „ამჟამად, როგორც სამოქალაქო ლექტორთა ასოციაციის (CELA) აღმასრულებელი დირექტორი, ვმუშაობ სამოქალაქო ცნობიერებისა და ჩართულობის დონის ზრდაზე. ეს სამოქალაქო განმანათლებელთა ქსელია, რომელთაც 2011 წლიდან USAID და IFES-ის ხელშეწყობით დავიწყეთ საქართველოს უნივერსიტეტებში სამოქალაქო განათლების სწავლება და ამ პროცესის არაფორმალური განათლების მიმართულებით ხელშეწყობაც. ვმუშაობთ სტუდენტებთან მთელი საქართველოს მასშტაბით და ვცდილობთ, მათში შესაბამისი უნარების განვითარება. ეს რაც გამოიხატება, არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებაში, არამედ საკუთარ თემში სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობის გამართვასა და ორგანიზებაში. ეს საშუალებას მაძლევს ჩავერთო საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარების პროცესში და რაც მთავარია, დავინახო, როგორ იქცევიან ახალგაზრდები აქტიურ მოქალაქეებად“.

ამასთან, ახალგაზრდა მეცნიერი ფრიდრიხ ებერტის ფონდის კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერითა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან ერთად ახორციელებს პროექტებს, რომლითაც საქართველოს ხუთ რეგიონში სტუდენტებს სამოქმედო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას აძლევენ.

თამარ ქარაია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტთა სამოქმედო პროექტებს და იხსენებს შემთხვევას, როდესაც მისმა სტუდენტებმა კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ ფარგლებში, ფონდი „ღია საზოგადოების“ დახმარებით, უსინათლო სტუდენტებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადაპტირება შეძლეს. „უმნიშვნელოვანესია როდესაც ახალგაზრდები არ ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ თავზე და ზრუნავენ თავიანთ თანატოლებზე, რომლებსაც სჭირდებათ ხელშეწყობა უნივერსიტეტის კედლებში სრულფასოვანი განათლების მისაღებად“,- აცხადებს თამარ ქარაია.

მისი აზრით, უმნიშვნელოვანესია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებსაც ჰქონდეთ სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების საშუალება. სწორედ ამიტომ, ამჟამად კოლეგებთან ერთად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდთან, რათა მოდიფიცირდეს პროფესიული სასწავლებლების სამოქალაქო განათლების მოდული და ამზადებს სტუდენტის და მასწავლებლის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებს.

თამარ ქარაია აქტიურად არის ჩართული ისეთ აქტუალური საკითხის შესწავლასა და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებაში, როგორიცაა ქალის როლი საზოგადოებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ის მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში ქალთა გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია მათი განათლების პრობლემების გადაჭრა. მისი თქმით, დღესაც ბევრ გოგონას სხვადასხვა მიზეზით უწევს სკოლის ნაადრევად მიტოვება. შესაბამისად, განათლების პოლიტიკა სკოლაში მათი დაბრუნება-შენარჩუნებასთან ერთად, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ყველამ გაიაზროს ზიანის ის მასშტაბები, რომელიც ასეთ გოგონებს ადგებათ:

„ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ გოგონებს ჰქონდეთ განათლების მიღების საშუალება. ამით ისინი შეძლებენ ცხოვრების უზრუნველყოფას და საკუთარი სურვილისამებრ წარმართვას; არ იქნებიან სხვაზე დამოკიდებულები და ვერ გაბედავენ მათზე ძალადობას. ეს ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. თუ ჩვენი არჩევანი დემოკრატიული ცხოვრების წესია, მისი უმთავრესი წინაპირობა, სწორედ განათლების და მეცნიერების განვითარებაა“.

თამარ ქარაია მუშაობს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებზე – „სოციალური მოძრაობები საქართველოში“, ასევე უძღვება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს–„სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა ახალგაზრდების ჩართულობის გზით“.

მეცნიერი, მკვლევარი, დოქტორი, ლექტორი, დირექტორი, წიგნების თანაავტორი, კონსულტანტი,–ჯერჯერობით ასეთია ახალგზარდა თამარის რეგალიები. ვინ იცის კიდევ რა გზას გაივლის, მისი მომავალი მიღწევები ზენიტს კიდევ როდის მიაღწევს...

ღიმილიანი ახალგაზრდის ყოველი მიღწევა მისმა შრომისმოყვარეობამ, ადამიანებთან კომუნიკაბელურმა დამოკიდებულებამ, წიგნიერებამ, საქმისა და არჩეული პროფესიისადმი სიყვარულმა განაპირობა. წარმატებები მისი დიდი შრომის საფასურია.

წარმატებულო და მშვენიერო გოგონავ, კარიერულ წინსვლასთან ერთად. გისურვებ ბედნიერი მეუღლე, დედა და მომავალი ოჯახის დიასახლისი გახდეთ!

თამარ! გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. ღვთის მფარველობა და „შენი სამყაროს“ გამორჩეულობა აწ და მარადის!

ნანი კილასონია.

განიხილეს ვაქცინაციის მიმდინარეობა

კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული სამეგრელო-ზემო სვანეთის ადგილობრივი ოპერაციული შტაბის სხდომა გაიმართა. სხდომას სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია ხელმძღვანელობდა და მას საბჭოს წევრები, სხვადასხვა სამხარეო სტრუქტურების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების მერები, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სახელმწიფო რწმუნებულმა სხდომაზე სპეციალისტებთან ერთად განიხილა რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება, კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებები, მოისმინა კლინიკებსა და საკარანტინე ზონებში არსებული ვითარება. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ვაქცინაციის მიმდინარეობის საკითხი.

ოპერაციულმა შტაბმა, ასევე განიხილა პირბადეების ტარების საკითხზე კონტროლის გამკაცრება, რაშიც პოლიციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად ჩაერთვებიან შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომლები. ამ დროისთვის რეგიონის მასშტაბით აღინიშნება ინფიცირების შემთხვევების ოდნავი მატება, დადებითობის მაჩვენებელი გაზრდილია 1% დან 1,3%-მდე.

ამ დროისთვის რეგიონში კორონავირუსის ინფექცია 244 ადამიანს აქვს დადასტურებული, მათგან 87 რეგიონში არსებულ ხუთ კოვიდკლინიკაში მკურნალობს. დღევანდელი მონაცემებით რეგიონის მასშტაბით თვითიზოლაციაში იმყოფება 366 მოქალაქე. რეგიონში ფუნქციონირებს 3 საკარანტინე სივრცე (პალმბიჩი, პრატაპი, ანაკლია), სადაც კარანტინში იმყოფება–110 მოქალაქე.

სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში დღეის მდგომარეობით სულ ანტიგენის ნიმუშის აღებაზე ჩართულია 53 სამედიცინო დაწესებულება. ვაქცინაცია კი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში ტარდება.

ისევ ჩავეხუტებით ერთმანეთს...

* * *

ერთი წელი შესრულდა...

მიუხედავად დიდი ტკივილისა ვერაგმა ვირუსმა, უხილავმა მტერმა, რომელმაც შეცვალა მსოფლიო და თავდაყირა დააყენა სამყარო, ერთი სიკეთე მაინც მოიტანა, მავნე აირებისგან გაწმინდა ატმოსფერო, გაჯანსაღდა ფლორა და ფაუნა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საპნის ბუშტივით გააქრო, მითი ადამიანის ყოვლისშემძლეობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით უპრიანია, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი ქართული მხატვრული კინოფილმიდან „ნერგები“. ნერგების ჩამოსატანად ლუკა ოდილავაძე ამერიკელ ტურისტებს დაემგზავრა ავტობუსში და ხეჭეჭურის უნიკალურ ჯიშზე გააბა საუბარი, საუბრისას გაკვრით თქვა: საკმაოდ გვიან იწყებს მსხმოიარობასო 12-15 წლის შემდეგ კი იძლევა პირველ ნაყოფსო.

–იარსებებს კი 15 წლის შემდეგ კაცობრიობა იმდენი ატომის და წყალბადის ბომბია დაგროვილი. კითხულობს ერთი პესიმისტი ტურისტი.

–სამყაროს შემოქმედს, არც ამ ქვეყნის გაჩენა უკითხავს ვინმესთვის, არც მის განადგურებას ჰკითხავს ვინმესო.

–პასუხობს ცხოვრებით დაბრძენებული ბერიკაცი ამერიკელ სტუმარს.

მჯერა ღმერთი არ გასწირავს ამ ულამაზეს პლანეტას და კაცობრიობა კვლავ გააგრძელებს არსებობას დედამიწაზე...

პანდემიაც დასრულდება და ისევ ისე ჩავეხუტებით ერთმანეთს, როგორც ადრე.

ნაირა ბერაია.

1 გვ.

უკანასკნელ პერიოდში, ვგულისხმობ 2021 წლის პირველ სამ თვეს, გვაქვს კოვიდ–19 ინფექციით დაინფიცირების მკვეთრად კლების ტენდენცია. 2021 წლის იანვარის, თებერვლის და მარტის სტატისტიკურ მონაცემებით, 2021 წლის იანვრის თვეში კოვიდინფიცირებული იყო 205 პირი, მათ შორის მედპერსონალი 13, თვითიზოლაცია გაიარა კონტაქტში მყოფმა 232-მა პირმა, პსრ ტესტით ტესტირებული იყო 491 პირი, დადებითი გამოვლინდა 6, ანტიგენზე სწრაფი ტესტით ტესტირებული იყო 805 პირი, დადებითი იყო 199 ადამიანი.

2021 წლის თებერვლის თვის სტატისტიკა: კოვიდ-ინფიცირებული იყო 87 პირი, თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 78 პირი, პსრ ტესტით ტესტირებული იყო 441 პირი, დადებითი იყო 1, ანტიგენზე სწრაფი ტესტით ტესტირებული იყო 1194 პირი, დადებითი გამოვლინდა 86 ადამიანი, გარდაიცვალა 1 პირი.

2021 წლის მარტის თვის სტატისტიკა დღემდე 29 მარტის ჩათვლით არის ასეთი: კოვიდინფიცირებული იყო 51, პსრ-ით ტესტირებული 450 პირი, დადებითი 2, ანტიგენის სწრაფი ტესტით ტესტირებული 137, დადებითი 49, თვითიზიოლაცია გაიარა 76-მა პირმა.

როგორც ზემოთხსენებულიდან ირკვევა გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი კლება კოვიდი–19-ით ადამიანების დაინფიცირების, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, მით უმეტეს, როცა შეზღუდვების უმრავლესობა მოიხსნა, კვლავაც არსებობს დაავადების მკვეთრი მატების საშიშროება, რომლის თავიდან ასაცილებლად კვლავაც აუცილებელია დაავადებათა კონტროლის მიერ მოცემული რეკომენდაციების დაცვა:

პირბადის ტარება აუცილებელია დახურულ და ღია სივრცეებში. მოსახლეობის 90 პროცენტმა მაინც უნდა ატაროს პირბადე.

დისტანციის დაცვა.

ხელების ხშირი დაბანა საპნით, ხელების დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით

მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს

არ უნდა დავგეგმოთ ხალხმრავალი ნადიმები, ქორწილები, ქელეხები

დახურულ სივრცეში, დარბაზებში, ტრანსპორტში პირბადის ტარება 100 %-ით რეკომენდაციების დაცვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქვეყნის მოსახლეობის 60-70 % აცრილი უნდა იყოს კოვიდ–19-ის წინააღმდეგ ვაქცინაცია აუცილებელია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოვიდ–19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც ცნობილია საქართველოში 2021 წლის 13 მარტს შემოტანილიქნა ბრიტანულ-შვედური წარმოების კოვიდ–19-ის წინააღმდეგ აცრისთვის ასტრაზენეკას ვაქცინა. მ/წლის 14 მარტს დღის 13 საათისთვის 250 დოზა ასტრაზენეკას ვაქცინა, თითოეულ ფლაკონში არის 10 დოზა. ვაქცინა ჩვენთან ინახება სპეციალურ მაცივარში სათანადო ტემპერატურული რეჟიმის დაცვით.

ამ ეტაპზე სამეგრელოს მასშტაბით ამცრელი კაბინეტი ფუნქიონირებს ქ. ზუგდიდში ევექსის ჰოსპიტალში, აცრებს პირველ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით სამედიცინო პერსონალთან ერთად ჩაიტარებს 65 წლის და ზემოთ ასაკის პირები, შემდგომ ჩაუტარდება სხვა რისკ-ჯგუფებსაც ეტაპობრივად. აცრა არის ნებაყოფლობითი, ამ ეტაპზე მედპერსონალს და 75 წლის და ზემოთ ადამიანებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ შემდეგ პორტალზე: ასტრაზენაკას ვაქცინა არის ძალიან მაღალი ხარისხის, მას გავლილი აქვს ავტორიზაცია და სერთიფიცირება ყველა დონეზე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიაციაში, მისი სარგებელი მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში და დაცვაში არის ძალიან მაღალი, უახლოეს პერიოდში ხობის ევექსის ჰოსპიტალშიც ფუნქციონირებას დაიწყებს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული აცრის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა აუცილებელი ინვენტარით და მედიკამენტებით. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჩაიტარონ კოვიდ–19 საწინააღმდეგო აცრა, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობის გარანტი იქნება რეკომენდაციების დაცვასთან ერთად.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ვაქცინაცია-ჯანმრთელობის გარანტი

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სულთათანა

მევლუდ სალაყაია

ადამიანის ცხოვრება სიკვდილისთვის მზადებაო,–იტყვიან. დღეს ამ ნათქვამის ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი.

თითქოს სიკვდილის მოჯიბრედ უამრავი გულშემატკივარი, მოსიყვარულე, მოჭირნახულე და მოტკივილე ადამიანი მოგროვილა, მევლუდ სალაყაიას ოჯახის ირგვლივ... ჯერ 60-ს არმიღწეული გაეცალა წუთისოფელს.. მტკივან გულს მრავალგზის მიემატა ტკივილი–ახლობლების ამქვეყნიდან წასვლის გამო და ვერ გაუძლო..

შვილებისა და შვილიშვილების უზომო სიყვარულმა, მათმა სითბომ და სიყვარულმა ვერ დაჯაბნა ავადსახსენებელი სიკვდილი...

60 წლის იუბილისთვის ემზადებოდაო, ჩქარობდა, იქნებ გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას...

მევლუდ სალაყაიას ცხოვრების გზა სოფელ ზემო ქვალონში მათი მშობლების სახლის ფერფლიდან დაიწყო.. ობოლ ძმებს მერაბსა და მევლუდს ბიძამ ობლობა არ აგრძნობინა, თავის შვილებთან გაზარდა, დიდი წვლილი შეიტანა მათ განათლებაში, დიდი ხანი, ვიდრე დამკვიდრდებოდნენ საზოგადოებაში, ხალხს თემური, მერაბი და მევლუდი სალაყაიები ძმები ეგონათ. დღემდე ასე მოდიან მათი მონაგარი. დიდებული ტრადიციების ოჯახებით, ტკივილსიხარულის გაზიარებით.

მევლუდი პოლიციის ვიცე კაპიტანი იყო, ავტოინსპექციაში მუშაობდა.. მიუხედავად იმისა, მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, ადამიანური ურთიერთობები, სიკეთის კეთება მისთვის უცხო არ ყოფილა, ადამიანის სიყვარული კი მისი ბუნებრივი თვისება იყო.

წლები ავადმყოფობდა. რძალი ნათია ძერია, შვილები ხატია და გოგა თითქოს მის ტკივილს ინაწილებდნენ...–ბედნიერი ვარ, ჩემი ოჯახით თუ განგებამ არ გამწირაო–იტყოდა.

ძალიან დამენანა სიკვდილისთვის სიცოცხლესმოწყურებული, მომავლისკენ მომზირალი, უბოროტო, კეთილშობილი, გამზრდელი ძმის მხარში მდგომი, ძალის მიმცემი ადამიანი...

მჯერა მისი მონაგარი არასოდეს დაივიწყებს და არც სხვებს დაავიწყებს მევლუდ სალაყაიას.

დიდი სიყვარულით ვეთხოვები ბატონ მევლუდის და ვუსამძიმრებ ოჯახს, მის საახლობლოს, ნათესავებს.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

მერი ლაგვილავა.

პანტელეიმონ (პანტე) რუხაძე



ძნელია, ხობის სპორტულ მატიანეს გადაავლო თვალი და არ გაიხსენო ქართული ფეხბურთის ქომაგი. სპორტის ბერმუხა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ვეტერანი ფეხბურთელი. ხობის ცენტრალური სტადიონის დირექტორი.

კაცი, რომელსაც მთელი ხობი იცნობდა, როგორც კეთილშობილ, მშრომელ, პატიოსან და უღალატო ადამიანს. დღეს ცოტანი შემორჩნენ ბატონი პანტელეიმონ (პანტე) რუხაძის თანამედროვენი, რომლებიც თბილი სიტყვებით ხშირად იხსენებდნენ მის შესაშურ პიროვნულ თვისებებს, გულმართლობას, მოყვასისადმი თანადგომას, მაღალ პასუხისმგებლობას, პატრიოტიზმს...

15 წელი გავიდა, ძნელია გარდასულ დროზე ილაპარაკო.

დრო მიდის, უკან არ ბრუნდება, ადამიანებიც მიდიან... ეს კანონზომიერი მოვლენაა, რჩება მოგონებები, დიდი სიყვარული, რომელსაც დრო და ჟამი ვერ გაახუნებს, რჩება მონატრება თბილი, კეთილი და გემრიელი მასპინძლობა (იმერელ-მეგრელი კაცისა), რომელსაც ყველა და ყველაფერი უყვარდა.

ადამიანის მიზანია ისე იცხოვრო, შენს სიცოცხლეს სიკვდილმა ვერაფერი დააკლოს. თქვენ სწორედ ასე იცოცხლეთ. დატოვეთ სანაქებო, ტრადიციული ქართული ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და საოცრად ლამაზი შვილთაშვილები მარი და ელენა, გადასახლდით უკვდავებაში თქვენს საყვარელ ადამიანთან, ჩემს უსაყვარლეს, უაღრესად თბილ ქალბატონ მერი ბერაიას. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

ნათქვამია, ადამიანი იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენ ხანსაც ახსოვთო, ჰოდა ჩვენც მუდამ გვემახსოვრები და იმედია იმიერშიც ერთად გავაგრძელებთ სიცოცხლეს, რადგან ისეთი ურთიერთობების დავიწყება, როგორიც ჩვენ გვქონდა, შეუძლებელია.

უფალმა ნათელში დაგიმკვიდროს სასუფეველი.

ნაირა ბერაია.

დათო ნაჭყებია

ორმოცი დღე გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა ჩვენს ოჯახს მეხი დაეცა, წამიერად ხელიდან გამოგვეცალა ოჯახის ბურჯი, უსპეტაკესი და უპატიოსნესი, უაღრესად თავმდაბალი, ყველგან სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, ქვეყნის პატრიოტი და მომავლის რწმენით გამჭვალული დათო.

...აი ბედის ირონია. გიყვარდა ყველა და ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, რამდენი ადამიანის უსაზღვრო სიყვარული დაგიმსახურებია შვილო... ცხარე ცრემლებით დაგიტირა ათასობით ადამიანმა. მადლობა ყველას დათოსთვის დაღვრილი ცრემლისთვის.

სახლი და სასაფლაო–ეს ორმოცი დღეა ამ ორ პოლუსს შორის იწყება და მთავრდება ჩვენთვის სამყარო, შენი ძმა ბაკური წუთით არ გვტოვებს და ცდილობს გაგვაძლიეროს შვილო. წახვედი და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე, მხოლოდ შენი მხიარული სახება შემოგვყურებს სურათებიდან.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა ვუთხრათ ნათესავებს, მეზობლებს, ხობის №1 და პირველი მაისის საჯარო სკოლებში დათოს თანაკლასელებს, სოხუმის უნივერსიტეტის თანაკურსელებს, ჯარის თანამებრძოლებს, ახლო სამეგობრო წრეს, გაზეთ „ხობის მოამბის“ თანამშრომლებს, მრგვალი მაგიდის წევრებს, ყველას ვინც ჩვენი ტკივილი გულთან მიიტანა და დათოს სული უფალს შეავედრა.

განაღგურებული მშობლები, ერთადერთი ძმა

ძალიან გვიჭირს, დათო ძმაო, შენი მოსაგონარის წერა, რაც დრო გადის უფრო ვხვდებით და ვგრძნობთ უშენობას. ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია და ცას შეატოვა შენი ოჯახის და ახლობლების ბედნიერება. სამუდამოდ დაცარიელდა ის ადგილი, რომელიც შენ გეკავა.

...ყველასთვის მოულოდნელად გადაწყვიტე წასვლა ჩვენგან, დაასრულე ერთად ყოფნის უბედნიერესი ხანა. ძალიან გვტკივა უშენობა, გვენატრები და გვაკლიხარ ჩვენო „ჯენგიზა“.

ყველაზე მძიმე ჩვენთვის თებერვლის თვე იქნება–მოვალთ შენთან და არ დაგვხვდები, ერთად ვერ ვისაუბრებთ, ვერ ვითამაშებთ, ვერ ვიქეიფებთ და ვერ იხუმრებ შენებურად ჩვენო კეთილო ძმაო.

მხოლოდ 38 წელი იცხოვრე ამქვეყანად. თბილი, მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი, მომავალზე ორიენტირებული, სიკვდილზე ფიქრსაც კი თუ შეძლებდი ვერ წარმოგვედგინა არა თუ...

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, მუდამ გვემახსოვრები, სიმბოლურად მაგრამ მაინც გაგრძელდება შენი სიცოცხლე ჩვენში–შენებრ კარგი და განუმეორებელი...

ჩვენ შენი სამეზობლო-სამეგობრო ვილოცებთ შენი სულის სასუფეველში დასამკვიდრებლად.

დაე, ნათელი დაადგეს შენს საფლავს დავით...

სამეზობლო-სამეგობრო

იროდი თოფურია

იროდი თოფურია გარდაიცვალა... ლამაზი, ნათელი გონების და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანი.

ბატონი იროდი და მისი მეუღლე ქალბატონი თინა აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ ხობში დამკვიდრდნენ სამუდამოდ. სოხუმში დაბრუნების და ომის დროს დაღუპული შვილების მალხაზისა და ირმას საფლავის მოფერების ნატვრით ათენ-აღამებდნენ. თავიანთი კეთილშობილებით, განსწავლულობით და ადამიანური ურთიერთობებით ავსებდნენ ხობელთა ცხოვრებას. მესამე შვილი კახა კი ხობში მიაბარეს მიწას. გულგამოცლილივით დადიოდა ეს ახოვანი, სიმპათიური მამაკაცი.

სასიამოვნო იყო მასთან საუბარი, მეზობლობა და მეგობრობა. ნათელი დაადგეს მის დაფლავს. დიდხანს ემახსოვრებათ ხობელებს ქალბატონი თინა, რომელმაც თავისთან უხმო ბატონ იროდის. ვუმსამძიმრებთ მის ახლობლებს კაცური კაცის ამ ქვეყნიდან წასვლის გამო.

უახლოესი მეგობრები

გურამ კვიკვინია, დემურ ბუკია, აჩიკო შამუგია, ჟორა იოსავა, ნუგზარ შონია, გოგიტა ჩიტაია, ბეჟან ნადარაია.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათია ძერიას და გოგა სალაყაიას მამამთილისა და მამის

მევლუდ სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ენვერ სალაყაიას და თამილა გვასალიას ოჯახს დისა და მულის

დიანა სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლიციის ვიცე კაპიტანი

მევლუდ სალაყაია

და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მევლუდ სალაყაია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

„გაზაფხული შემოსულა, ლენ...“



როგორც კი დასალიერს გაუყვება თებერვალი და მიწა შეიგრძნობს პირველ სხივილს, მაშინათვე ამეკვიატება მურმან ლებანიძის ცნობილი სტრიქონები, რომელიც გაზაფხულივით აამღერეს ქართველებმა... „გაზაფხული შემოსულა, ლენ, რიარია აუტეხავთ ჩიტებს, მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს, თეთრი ტილო მომიქარგე შენ!“ ამ სიმღერას მე და მამა ვმღეროდით ხშირად, ჩავუტკბილებდით წყობილად ხმებს და მარტი კვირტებიდან ამოსხლტებოდა, ფრინველები აჟივილდებოდნენ, დღე უსასრულოდ გაიწელებოდა და სიყვარული მარადიულობის ძალად დაისადგურებდა ირგვლივ.

უხაროდა მამას, მიხაროდა მეც, ბედნიერობდნენ სხვები და ჰაერი სიყვარულით იყო გაჟღენთილი. წავიდა მამა, წავიდა და ჩადუმდა მისი ხავერდოვანი, გაზაფხულივით მრავალფერადი ხმა. გაზაფხულის სილამაზემ გადაიყოლა, ვერ გამოაღწია ზეციური სურნელების წიაღიდან და გაჰყვა აპრილის მზეს.

მაისს ჯერაც არ ჰქონდა მედგრად ფეხები შემოდგმული. იმ დილით, სანამ გზაზე დევივით გაიშხლართებოდა და სულს ცას შეუერთებდა, ეს სიმღერა იმღერა, მერე მოაყოლა: „რა ლამაზი ვარდის შტო ხარ, მებრალები მარტოდ რომ ხარ, დედი რო გამომიშვებდეს, უჭველად შენთან მოვალ...“–ვარდის შტოებისა და გაზაფხულის დიდებით გარდავიდა მარადიულ სამყოფლოში. წავიდა მამა, მხოლოდ სიზმრებში ბრუნდება ჩვენთან. გაზაფხული, მისი საყვარელი ვარდობისთვე კი მოდის და მიდის, მიდის და მოდის. ასე იქნება მუდამ, სანამ კაცთა მოდგმა იარსებებს დუნიაზე და გაზაფხული შეძლებს სიცოცხლედ მოსვლას!

წვიმით დამღლელი ამინდები დაიჭირა, გამბეზრებლად ჭიჭყინა და მოსაწყენი. სახურავქვეშ მოაქცია მთელი ქვეყანა, არადა ამ დროს მინდვრის ხავერდებზე სიარულს და სიცოცხლის მეტაფორად ამოხეთქილ ყვავილთა ცქერას არაფერი სჯობს. მერე ძალიან რომ მოგეძალება მისი ფერადოვნება და მარადისის სურნელი, ჩაიღიღინებ ფიქრისამშლელად: „გაზაფხული შემოსულა, ლენ, რია- რია აუტეხავთ ჩიტებს.“

გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩემო უსაყვარლესო ხობელებო, გაზაფხულივით ლამაზო ქართველებო.

ჩემი ძმის ლაშას ლექსით მოგეფერებით ყველას: „მზე გაზაფხულის მარტის თითებით გამოაფხიზლებს ზამთრის სიჩუმეს, და ლურჯი ია განებივრებით ცას ნისლმანდილად რომ დაიბურებს, შენ გამოჩნდები ზურგმიყრდნობილი მკრთალ სიმორცხვეს, და შორით გორები ამპარტავნულად მთვარე–დობილით მოასხივებენ იმ მეტაფორებს, რომელიც შენში მზერას ამოხსნის სიყვარულის და ზეცის მქებელი, ინავარდისებ სულის სამოსით სიკვდილის დროსთან შემრიგებელი!..“

სიყვარულით
ნანა გვასალია

დიანა ლომაიამ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა

საქართველოს ქალთა მე-80 ჩემპიონატის 1-ლი ლიგის დასრულებამდე 1 ტურით ადრე დიანა ლომაიამ გაინაღდა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირის–საქართველოს ქალთა მე-80 ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, რომელიც გაიმართება 12-22 ივნისს და მასში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საუკეთესო 10 მოჭადრაკე ქალი.

თბილისში დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე ჭადრაკში ქალთა შორის პირველი ლიგა შესანიშნავად იასპარეზა ხობელმა სახელოვანმა მოჭადრაკე დიანა ლომაიამ.

მან დამაჯერებლად 9 შესაძლებლობიდან 7,5 ქულთ დაიკავა პირველი ადგილი და კიდევ ერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი. თან მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური.

დიანამ ნამდვილი სატურნირო ფურორი მოხდინა და თავისი შთამბეჭდავი შედეგებით დახუნძლულ საჭადრაკო ბიოგრაფიაში, კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა.

უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთს თავის არსებობის მანძილზე მასზე უფრო ტიტულოვანი და სახელგანთქმული მოჭადრაკე არ ახსოვს.

მან უკვე მერამდენედ ასახელა მშობლიური ხობი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ის 5 წლის ასაკში მივიდა და პირველი გაბედული ნაბიჯები გადადგა, და რათქმა უნდა, სასპორტი სკოლა, სადაც ის 5 წლის განმავლობაში ეუფლებოდა საჭადრაკო სიბრძნეს და მრავალი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა ამ სკოლის სახელით.

კერძოდ, საქართველოს 4-ის ჩემპიონობა ევროპის 2-ის თასი. მსოფლიო და ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებზე საქართველოს ნაკრები გუნდის სახელით გამოსვლა, აი, ეს არის ის უამრავ წარმატებათა ნუსხა, რაც მან გუ ლშემატკივრებისთვის გააკეთა. მისი პირველი სერიოზული საჭადრაკო ნათლობა 6 წლის ასაკში დედაქალაქში შედგა, როცა მან ტრიუმფალურად მოიგო 7-8 წლიანთა საქართველოს ჩემპიონატი. მრავლისმნახველი ჭადრაკის კორიფეები გაოცებას ვერ მალავდნენ მისი თამაშის შემყურე. ყველა მიხვდა, რომ ქართულ ჭადრაკში ახალი სერიოზული ძალა გამოჩნდა ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას გაკვალულ ბილიკზე.

დღეს კი 16 წლის საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი და ოლიმპიური ნაკრები გუნდის კაპიტანი მომავალ დიდ წარმატებათა მიჯნაზეა. წინ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები და ოლიმპიადაა.

გზა დავულოცოთ მას ამ ურთულესი გზით სავალ საჭადრაკო ორბიტაზე. გვჯერა, რომ დიანა კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს და გვასახელებს ახალ-ახალი გამარჯვებებით.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო მის მშობლებს, დიდებულ ოჯახს, რადგან ჭადრაკში ოლიმპის დალაშქვრა სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. ამ მხრივ დიანას პრობლემები არასოდეს ჰქონია. ოჯახის ხელშეწყობით თითოეულ ხობელს, გულშემატკივრებს, მისი ნიჭისა და ტალანტის ღირსეულ თაყვანისმცემლებს, ყველას ვისაც სჯეროდა მისი საჭადრაკო მომავლის, ვულოცავ დიანას ახალ გამარჯვებას.

გვიყვარხარ და გვემაყები ჩვენო ვარსკვლავო.

ირაკლი გეთია,
ხობის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელ-ინსტრუქტორი ჭადრაკში.

მოლოცვები

წლები შრომაში შემოეხარჯა

ვანო შეროზიას!

ბატონო ვანო, გულით გილოცავთ 70 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, მხნეობას, წელთა სიმრავლეს. იხარეთ და იბედნიერეთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

გვეიმედებით.

დიდი სიყვარულით

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები.

ლუარა ძველაიას!

ჩემო შრომით მხრებდამძიმებულო საყვარელო ბებო. გილოცავ 75 წლის იუბილეს. მინდა სულ გახარებულს და მომღიმარს გხედავდე.

მართალია ზოგჯერ გაბრაზებ, მაგრამ ძალიან მიყვარხარ და მეიმედები.

უფლის წყალობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ყველაფერ საუკეთესოს და ჩემს გაძლებას გისურვებ ჩემო ბებიკუნა.

ბარბარე კაკაჩია

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.